ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia
გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT
KFW
აჭარის წყლის ალიანსი

# აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

## საინფორმაციო ბიულეტენი N15

**ოქტომბერი, 2021**

## 15 ოქტომბერი - სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ძირითადი პრინციპი, რომელიც გულისხმობს თანამედროვე წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის შექმნას და მდგრად მართვას აჭარის მუნიციპალური ცენტრების დაბებსა და 39 სოფელში, ზრდის ქალების როლს, უზრუნველყოფს მათთვის თანაბარ სამუშაო პირობებს და შეამცირებს სიღარიბეს მოსახლეობაში, განსაკუთრებით ქალების პროგრამაში აქტიური მონაწილეობით.

სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე (IRWD), გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 2008 წლიდან 15 ოქტომბერს აღინიშნება და მიზნად ისახავს წარმოაჩინოს სოფლად მცხოვრები ქალების, მათ შორის მკვიდრი ქალების, გადამწყვეტი როლი და წვლილი სოფლის მეურნეობის და ადგილობრივი განვითარების საკითხებში, სურსათის უვნებლობის გაუმჯობესების, სიღარიბის აღმოფხვრის, ოჯახებში ჰიგიენისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიმართულებით. ამასთანავე, სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე წარმოაჩენს სოფლად გენდერული უთანასწორობის უარყოფით შედეგებს.

საქართველოში უხილავი და ხშირად აუნაზღაურებელი შრომა ძირითადი გამოწვევაა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის. „ქალები უფრო მეტ ბარიერებს აწყდებიან წყლის და სარწყავი სისტემების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და წარმოების საშუალებებზე წვდომისას, ვიდრე მამაკაცები." მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ "საქართველოს ყველა რეგიონში ქალები სოფლის მეურნეობაში უფრო მეტი დღით არიან ჩართულები, ვიდრე მამაკაცები. ქალები საშუალოდ წელიწადში 344 დღეა ჩართული სოფლის მეურნეობის საქმეში, ხოლო მამაკაცები 263 დღე."

მწირი საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოფლად მცხოვრები ქალების სამუშაო დატვირთვაზე, რადგან გენდერული როლების გადანაწილებით, საშინაო საქმიანობა ქალთანაა დაკავშირებული, მოუწესრიგებელი წყალმომარაგებისა და წყალარინების საკითხები, ზრდის ქალების დატვირთვას. ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის არ არსებობის დროს, ქალები ძირითადად პასუხისმგებლები არიან წყლის მოტანაზე.

აჭარის დაბებსა და სოფლებში პროგრამის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების დროს, რაც პროგრამის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, აქცენტი კეთდება პროგრამის თითოეულ ეტაპზე ქალების აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობაზე - ტექნიკური გადაწყვეტილებების შემუშავებიდან დაწყებული, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მართვისა და ახალი კომუნალური საწარმოების განვითარების ჩათვლით, სადაც ქალების 50%-იანი კვოტირებაა გათვალისწინებული. ამ გზით, ქალები არამხოლოდ ხილული, არამედ მნიშვნელოვანი სამუშაოსთვის აღიარებულნი იქნებიან სოფლებში.

1. https://undocs.org/A/RES/62/136
2. https://www.fao.org/3/ca0577en/CA0577EN.pdf








### ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ.
პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.
აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი" ახორციელებს.
პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.
აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.

MACS Energy & Water
FICHTNER
GITEC CONSULT GMBH
IRC
IGIP

ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკოსნტურქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

# AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAMME

NEWSLETTER N15

**October, 2021**

## 15th of October - Rural Women's Day

A core principle of the Rural Water Supply and Wastewater Treatment Program – Ajara, which foresees the construction and sustainable management of modern water supply and wastewater infrastructure in the semi urban municipal centers and 39 villages in Ajara, is the empowerment of women, the facilitation of equal working conditions for women and contribution to poverty reduction through the active participation of inhabitants and particularly women.

The International Rural Women's Day (IRWD), which has been celebrated since 2008 on 15 October by the UN General Assembly aims to highlight the crucial role and contribution of rural women, including indigenous women, in fostering agricultural and rural development, improving food security, eradicating rural poverty and ensuring hygiene and health within their families. Moreover, IRWD intends to point out the negative impacts resulting from gender inequality in the rural areas.

In Georgia, the invisible and often unpaid labor is a major challenge for rural women. "Women face more barriers to access water and irrigation systems, agricultural equipment and production inputs and facilities than men do." In fact, women are involved in agricultural activities for more days per year than men in all regions of Georgia, women being engaged an average of 344 days per year and men 263."

Poor living conditions have a significant impact on the workload of rural women, as by the distribution of gender roles, domestic work is associated with women. Unorganised water supply and sanitation issues increase the workload of women. In the absence of a centralized water supply system, providing safe and reliable disinfected water supply, women are mainly responsible for bringing the water to their family.

During awareness activities which form an integral part of the program in semi urban and rural Ajara, emphasis is laid on the importance of women's active participation in all stages of the program – from the design of the technical solutions through the operation of the new water supply and wastewater systems to the development of the new municipal utilities in which a quota of 50% female staff is foreseen. By those means, women will not only become more visible but also acknowledged for their important work within the rural communities.

1. https://undocs.org/A/RES/62/136
2. https://www.fao.org/3/ca0577en/CA0577EN.pdf



### GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.
The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.
"Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".
The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.
The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.

This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge